



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 488/ს
27/09/2023

488-21-4-202309271007

ქ. თერჯოლაში შპს „ჯეო მეტალის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ჯეო მეტალის“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ქ. თერჯოლაში ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკრინინგის განცხადება.

2019 წლის 19 მარტს შპს „ჯეო მეტალის“ ფეროშენადნობების საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-251).

2022 წლის 20 სექტემბერს, სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ განხორციელდა შპს „ჯეო მეტალის“ კუთვნილი ობიექტის გეგმური შემოწმება და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79⁷ მუხლის პირველი ნაწილითა (სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებული საქმიანობის სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე განხორციელება) და 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით (საქმიანობის განმახორციელებლის მიერ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების შეუსრულებლობა) გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტზე შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №073117 ოქმი, რომელიც განსახილველად გადაეგზავნა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2022 წლის 5 ოქტომბრის №4/151-2022 დადგენილების საფუძველზე კომპანია ცნობილ იქნა ადმინისტრაციულ სამართალდამრღვევად და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის“ 79⁷ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე გამოეცხადა სიტყვიერი შენიშვნა, ხოლო 79⁸ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ სამართალდარღვევაზე სახდელის სახით შეეფარდა ჯარიმა, 5 000 ლარის ოდენობით.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ფეროშენადნობების საწარმო განთავსებულია ქ. თერჯოლაში, ყოფილი შამპანიურის ქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე. აღსანიშნავია, რომ დოკუმენტში წარმოდგენილი ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში გათვალისწინებული ღონისძიებები უკვე განხორციელებულია. საწარმოს მოწყობის ეტაპზე დაკორექტირდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული საპროექტო ტერიტორიის

საზღვრები და მიწის ნაკვეთს მიენიჭა ახალი საკადასტრო კოდი (ს/კ: 33.09.43.590), ასევე, შეიცვალა ტერიტორიის ფართობი და ნაცვლად 4769 მ²-ისა, შეადგინა 5950 მ². არსებული მდგომარეობით, საწარმოს განთავსების ადგილის GPS კოორდინატებია: X-330535.97, Y-4669119.64; X-330514.33, Y-4669032.25; X-330562.08, Y-4669084.85; X-330537.36, Y-4669118.88. ობიექტის საკადასტრო საზღვრიდან უახლოესი საცხოვრებელი სახლი დამორებულია დაახლოებით 530 მეტრით, ხოლო უახლოესი ზედაპირული წყლის ობიექტი, მდ. ჩოლაბური მიედინება დაახლოებით 210 მეტრში. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ საწარმოს ტერიტორიას ემიჯნება შპს „ბაზილიკას“ ცემენტის ქარხანა. ამასთან, საწარმოს ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 60 მეტრში განთავსებულია შპს „ნიუ როუდ ჯგუფის“ ასფალტის, ხოლო 100 მეტრში – შპს „მ გრუპის“ და 230 მეტრში – შპს „რუსელოსის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოები. აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 180 მეტრში (ს/კ: 33.09.43.313) ფუნქციონირებს ი/მ თამაზ ცხოვრებაძის ტემენიტის ქვის სახერხი საამქრო, სადაც დამატებით დაგეგმილია სასარგებლო წიაღისეულის (ტემენიტი) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია, რაზეც სააგენტოს მიერ გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. გარდა ამისა, საპროექტო ტერიტორიიდან დაახლოებით 230 მეტრში (ს/კ: 33.09.43.669) დაგეგმილია შპს „მნ კომპანის“ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საწარმოს მოწყობა და ექსპლუატაცია, რაზეც სააგენტოს მიერ გაცემულია №16 სკოპინგის დასკვნა (ბრძანება №329/ს).

წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად, ფეროშენადნობების საწარმოს ძირითად დანადგარს წარმოადგენს 2.5 მგვტ სიმძლავრის ელექტრორკალური ლუმელი (Y-330532; Y-4669011), რომლის განთავსება, ლუმელის ელექტრო კვების ბლოკსა და 4 ერთეულ საკაზმე ბუნკერთან ერთად, განსაზღვრული იყო საწარმოო კორპუსში, რკინის კონსტრუქციის ნაგებობაში. ვინაიდან, ელექტრორკალურმა ლუმელმა დაიკავა უფრო დიდი ადგილი, ვიდრე ეს გათვალისწინებული იყო გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით, ობიექტის მოწყობის ეტაპზე გამოვლინდა საწარმოო კორპუსის რკინის კონსტრუქციის ნაგებობის საინჟინრო პარამეტრების ცვლილების აუცილებლობა. კერძოდ, რკინის კონსტრუქციის ნაგებობაში დამონტაჟდა მხოლოდ ელექტრორკალური ლუმელი, ხოლო ელექტრო კვების ბლოკის განთავსების მიზნით საწარმოო კორპუსის სამხრეთ-დასავლეთ კედელზე მოეწყო მიშენება. რაც შეეხება საკაზმე ბუნკერებს, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, საწარმოო კორპუსის გარეთ, ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს, ფარდულის ტიპის გადახურვის ქვეშ განთავსდა 4 ერთეულის ნაცვლად 5 საკაზმე ბუნკერი. ამასთან, საწარმოს ტერიტორიაზე, ნედლეულის სასაწყობე ფარდულსა და აირგამწმენდი სისტემის განთავსებისთვის განკუთვნილ ნაგებობას შორის, დამატებით, მოეწყო ღია ფარდული, ნედლეულისა და სხვადასხვა მასალების დასასაწყობებლად. ობიექტის წლიური წარმადობა შეადგენს 3000 ტონა (0,38 ტ/სთ) ფეროსილიკომანგანუმს და იგი

ფუნქციონირებს წელიწადში 330 დღე, 24 საათი. საწარმოს სამუშაო რეჟიმი, წარმოების ტექნოლოგია და წარმადობა დარჩა უცვლელი.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული სადნობი ღუმელის თავზე დამონტაჟებულ აირგამწმენდ სისტემაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, დამატებით განთავსდა ციკლონი (ეფექტურობა 40%). საწარმოო პროცესში წარმოქმნილი ცხელი აირმტვერნარევი, ქსოვილოვან ფილტრებში მიწოდებამდე, გაივლის აღნიშნულ ციკლონს, რომელიც მტვერდამჭერთან ერთად, ასრულებს ნაპერწკალჩამქრობ ფუნქციას. ამასთან, ვინაიდან, ელექტრორკალურმა ღუმელმა დაიკავა უფრო მეტი ადგილი, გაიზარდა ქსოვილიანი ფილტრების საფილტრავი ზედაპირის ფართობი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 470 მ²-ის ნაცვლად, შეადგინა 499.2 მ².

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, საწარმოო (მეტალურგიულ) პროცესში, წლის განმავლობაში მიიღება 4000 ტონა ინერტული წიდა. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული იყო წიდის გატანა საწარმოს ტერიტორიიდან. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში, ობიექტზე განთავსდა „ცმდ-106“ ტიპის, 6 ტ/დღე წარმადობის ყბებიანი სამსხვრევი, რომელიც განკუთვნილია მეტალურგიული პროცესებიდან მიღებული წიდის ნაწილის (1980 ტ/წელ) მსხვრევისა და მიღებული წვრილფრაქციული წიდის წარმოების პროცესში დაბრუნებისთვის. ელექტრორკალური ღუმელიდან გამოსული წიდა, ღარის საშუალებით, ისხმება საწარმოო კორპუსის გარეთ არსებულ ორმოში, სადაც ცივდება ბუნებრივად და გაცივების შემდეგ, ექსკავატორის ჩამჩის საშუალებით, მიეწოდება ნედლეულის სასაწყობე ფარდულში განთავსებულ ყბებიან სამსხვრევს. საწარმოში წლის განმავლობაში გათვალისწინებულია 1980 ტონა წიდის მსხვრევა და წარმოების პროცესში დაბრუნება, ხოლო დარჩენილი ნაწილი (2020 ტ/წელ) გადის სარეალიზაციოდ.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებები არ გულისხმობს საწარმოში გათვალისწინებული ტექნოლოგიური პროცესის, ნედლეულისა და პროდუქციის სახეობრივ ცვლილებას, ან ისეთ ოპერაციებს, რომლებიც დაკავშირებულია ნარჩენების დამატებით წარმოქმნასთან. საწარმოს ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების მართვა ახორციელებს ნარჩენების მართვის გეგმის შესაბამისად.

წარმოდგენილი ინფორმაციის შესაბამისად, საწარმოს სასმელ-სამეურნეო დანიშნულების წყლით მომარაგება ხორციელდება ბუტილირებული სახით. საწარმოო მიზნით წყალი გამოიყენება ღუმელის გაგრილების სისტემაში, რისთვისაც ტერიტორიაზე განთავსებულია შხეფმაცივარი და წყლის სამარაგო ავზი. საწარმოო დანიშნულებით წყალადება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ლიცენზირებული ჭაბურღილიდან. ვინაიდან, ობიექტზე მოწყობილია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემა, არსებული ჭაბურღილიდან წყალადება ხორციელდება მხოლოდ დანაკარგის შესავსებად, რაც წლის განმავლობაში შეადგენს 990 მ³-ს. გამომდინარე იქიდან, რომ ექსპლუატაციის

პირობების ცვლილებით წიდის მსხვრევა მოხდება მშრალი მეთოდით, ობიექტზე საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული წყლის მოცულობა დარჩება უცვლელი. საწარმოში წარმოქმნილი სამეურნეო-საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება საასენიზაციო ორმოში.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განთავსებული წიდის მსხვრევის პროცესში მოსალოდნელია მავნე ნივთიერების, კერძოდ, არაორგანული მტვრის გამოყოფა და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევა. სამსხვრევი დანადგარიდან გამოყოფილი მტვრის რაოდენობა, წლის განმავლობაში, შეადგენს 0.1386 ტონას. წიდის სამსხვრევი დანადგარის წარმადობისა და იმის გათვალისწინებით, რომ იგი განთავსებულია გადახურულ, ფარდულის ტიპის ნაგებობაში, მისი ფუნქციონირება არ იქნება დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელი ზემოქმედების მნიშვნელოვან ცვლილებასთან. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საწარმოს მტვერდამჭერ სისტემას დაემატა ციკლონი, რომლის მეშვეობით, მტვერდამჭერი სისტემის საერთო ეფექტურობა, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშითა და გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 99%-დან, გაიზარდა 99.4%-მდე. აღნიშნულის გათვალისწინებით, ელექტრორკალური ღუმელის გაფრქვევის მილიდან, წლის განმავლობაში, გაფრქვეული არაორგანული მტვრის რაოდენობა 288 ტონიდან შემცირდა 172.8 ტონამდე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებების ფარგლებში, ხმაურის გავრცელება დაკავშირებულია წიდის სამსხვრევი დანადგარის ფუნქციონირებასთან. დოკუმენტის მიხედვით, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოწყობილი „ცმდ-106“ ტიპის სამსხვრევის ხმაურის მაქსიმალური დონე შეადგენს 85 დბა-ს. აღსანიშნავია, რომ სამსხვრევი განთავსებულია სამი მხრიდან კაპიტალური კედლით დაცულ სათავსოში, რომლის კედლების ბგერათსაიზოლაციო ეფექტი 30-35 დბა-ს ტოლია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული სამსხვრევის ფუნქციონირება, უახლოეს საცხოვრებელ სახლთან დაშორების მანძილის (530 მ) გათვალისწინებით, არ გამოიწვევს ხმაურის საერთო ფონის მომატებას.

სკრინინგის განცხადების შესაბამისად, ობიექტის სიახლოვეს არ მდებარეობს არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ასევე, დაცული და ტყით მჭიდროდ დაფარული ტერიტორიები, სადაც გაბატონებულია საქართველოს „წითელი ნუსხის“ სახეობები. ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით გათვალისწინებული ღონისძიებები განხორციელდა ანთროპოგენური ზემოქმედებით სახეცვლილ გარემოში, სამეწარმოდ ათვისებულ ტერიტორიაზე, რომელიც თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. საწარმოს სიახლოვეს არ ფიქსირდება ცხოველების ბინადრობისათვის ხელსაყრელი პირობები.

სკრინინგის განცხადებაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებით განხორციელებული ღონისძიებების გათვალისწინებით, კუმულაციური ზემოქმედება განხილულია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე და ხმაურის გავრცელების კუთხით. დოკუმენტის თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში,

ობიექტზე განთავსდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერების გაფრქვევის ახალი წყარო (წილის სამსხვრევი), მტვერდამჭერ სისტემაში დამატებით მოწყობილი ციკლონის გათვალისწინებით, გაიზარდა მტვერდამჭერი სისტემის საერთო ეფექტურობა და შესაბამისად, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა ჯამური რაოდენობა შემცირდა 1.0134 ტ/წ-ით. რაც შეეხება ხმაურის გავრცელებით მოსალოდნელ კუმულაციურ ზემოქმედებას, ვინაიდან, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში მოწყობილი „ცმდ-106“ ტიპის სამსხვრევი განთავსებულია სამი მხრიდან კაპიტალური კედლით დაცულ სათავსოში, რომლის კედლების ბგერათსაიზოლაციო ეფექტი შეადგენს 30-35 დბა-ს, უახლოეს მოსახლესთან მიმართებით, ხმაურის საერთო ფონის მომატებას ადგილი არ ექნება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და გადაგზავნილ იქნა თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით სააგენტოში წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ ექსპლუატაციის პირობების ცვლილების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები არ არის დაკავშირებული გარემოს სხვადასხვა კომპონენტებზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან. ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სპეციფიკის, მასშტაბისა და მახასიათებლების გათვალისწინებით, მოსალოდნელი არ არის არსებული გარემოს ფონური მდგომარეობის მნიშვნელოვანი ცვლილება.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-5 მუხლის მე-12 ნაწილისა და ამავე კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ქ. თერჯოლაში შპს „ჯეო მეტალის“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ჯეო მეტალი“ ვალდებულია, საქმიანობა განახორციელოს 2019 წლის 19 მარტს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-251) განსაზღვრული პირობების შესაბამისად, წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით;
3. შპს „ჯეო მეტალი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს განახლებული „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტის“ სააგენტოსთან შეთანხმება. სააგენტოსთან შეთანხმებული გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების,

ასევე, აირმტვერდამჭერი მოწყობილობების პარამეტრების და ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;

4. შპს „ჯეო მეტალი“ ვალდებულია, უზრუნველყოს გაფრქვევის წყაროზე ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი ინსტრუმენტული მეთოდით განსაზღვრა „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების თვითმონიტორინგის და ანგარიშგების წარმოების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად;
5. შპს „ჯეო მეტალი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან ორი თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის შემუშავება და სააგენტოსთან შეთანხმება, სადაც, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებასთან ერთად, გათვალისწინებული იქნება საწარმოს ტერიტორიაზე და უახლოეს მოსახლესთან ატმოსფერული ჰაერის და ხმაურის ინსტრუმენტული მონიტორინგის შედეგები (მონიტორინგის წერტილების კოორდინატების და სიხშირის მითითებით);
6. შპს „ჯეო მეტალი“ ვალდებულია, სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან ერთი თვის ვადაში, ექსპლუატაციის პირობების ცვლილების გათვალისწინებით, უზრუნველყოს ნარჩენების მართვის გეგმის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს №211 ბრძანების შესაბამისად;
7. შპს „ჯეო მეტალისთვის“ ზემოაღნიშნული პირობები წარმოადგენს 2019 წლის 19 მარტს გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით (ბრძანება №2-251) განსაზღვრული პირობების განუყოფელ ნაწილს და მათი შესრულება სავალდებულოა;
8. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ჯეო მეტალს“ და სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს;
9. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჯეო მეტალის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
10. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი
სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

